ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბერის №31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში შეტანილი იქნეს ცვლილება და გაიზარდოს იგი: 7453,6 ათასი ლარით, მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით 2215,2 ათასი ლარით და აღნიშნული თანხიდან 1460,4 ათასი ლარი მიიმართოს ,,გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების" (ქვეპროგრამა 02 01 02) ქვეპროგრამაზე.

,,მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე" (ქვეპროგრამა 02 01 02) მიიმართოს 570,6 ათასი ლარი.

,,სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობაზე (ქვეპროგრამა 05 01 06) მიიმართოს 184,2 ათასი ლარი.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 16/03/2023 წლის №46.4623075001, 24/08/2023 №46. 46232367 ბრძანებები.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 სექტემბრის N1640 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" 338,0 ათასით და აღნიშნული თანხა მიიმართოს კეთილმოწყობის ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02 03 01) კერძოდ; ნაგავმზიდი მანქანების შესყიდვის ხარჯებისათვის.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 18/09/2023 N462326111 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით 2810,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულებით ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" გამოყოფილი თანხა 963,6 ათასი ლარი მიიმართება მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის განსახორციელებლად (პროგრამული კოდი 04 02);

მიმდინარე დანიშნულების გრანტები 50,0 ათასი ლარით. ,,ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისათვის" და აღნიშნული თანხა მიიმართოს ვანზომლეთის თემის ჯიხეთის დედათა მონასტერთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯებისათვის. ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 07/08/2023 №46.462321910 ბრძანება.

გარდა აღნიშნულისა შემცირდება ა(ა)იპ კურორტ ბახმაროს ასიგნება 19,9 ათასით, , ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება 20,0 ათასით, სკოლამდელი განათლების დაფინანსება 20,0 ათასით, განათლების სისტემის ხელშეწყობა 20,0 ათასით, სულ გამოთავისუფლებული თანხა შეადგენს 79,9 ათას ლარს.

გაიზრდება ადგილობრივი შემოსავლები 1076,8 ათასით (აქედან არაფინანსური აქტივების კლება 300,0 ათასით, სხვა შემოსავლები 776,8 ათასით). გამოთავისუფლებული თანხა 79,9 ათასი ლარი და ადგილობრივი შემოსავლების გაზრდის შედეგად მიღებული თანხა 1076,8 ათასი ლარი, სულ : 1156,7 ათასი ლარი მიიმართოს შემდეგი დანიშნულებით:

გაიზრდება სარეზერვო ფონდის (პროგრამული კოდი 01 02 01) მოცულობა 40.0 ათასით;

გარე განათება (პროგრამული კოდი 02 02) 55,0 ათასით (გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა 1,8 ათასი, გარე განათების და ელ. ენერგიის ხარჯი 53,2 ათასი);

სახელოვნებო სკოლების (პროგრამული კოდი 05 02 10) ასიგნება გაიზრდება 4,0 ათასით;

არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის ასიგნება (პროგრამული კოდი 05 02 09) 5,0 ათასით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00) ასიგნება გაიზრდება 645,0 ათასით;

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 01 03) 2,0 ათასით;

კულტურის ცენტრის ასიგნება (პროგრამული კოდი 05 02 01 02) 377,8 ათასით;

საფეხბურთო კლუბი ,ბახმარო''-ს ასიგნება (პროგრამული კოდი 05 01 04 03) 8,9 ათასით;

რაგბის კლუბი ,,ღონე''-ს ასიგნება (პროგრამული კოდი 05 01 07) 19,0 ათასით;

აღნიშნული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა გახდება 29 063,9 ათასი ლარი.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: ვალერიან შარაშიძე

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბერის №31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 სექტემბრის N1640 და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულებებთან.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 69-ე და მე-80 მუხლებთან და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი სპეციალისტი : **ნინო ვაჩეიშვილი**

განკარგულება

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4-ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: **მ. გოგოლაძე**

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-80 მუხლისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი, მე-2,მე-3,მე-4,მე-5,მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14 . მე-15, მე-16, მე-17, მე-18, მე-19, მე-20, 21-ე , 22 -ე , 23-ე, 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: *მ.გოგოლაძე*